საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 16 მარტი, 2023 წელი

დრო: 21:00 - 22:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემი თბილისი
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
7. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
8. ლაშა ბლიაძე - პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

1. ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სასამართლო სისტემისა და დეოლიგარქიზაციის შესახებ

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.
საკოორდინაიცო საბჭოს შეხვედრაზე, პირველი ჯგუფის კოორდინატორმა მიმოიხილა ვენეციის კომისიის დასკვნა და რეკომენდაცია დეოლიგარქიზაციის კანონის შესახებ. მან დეტაურად განიხილა ის რეკომენდაციები, რომელსაც ვენეციის კომისია სთავაზობს საქართველოს პარლამენტს. ვენეციის კომისია გამოყოფს 2 მიდგომას დეოლიგარქიზაციის. პირველი ეს არის პერსონალური მიდგომა, რომელცი მიიღო უკრაინამ და რომელიც მეტ საფრთხეს შეიცავს დემოკრატიული ღირებულებების დარღვევის თვალსაზრისით. მეორე მიდგომა კი გულისხმობს სისტემურს, რაც ნიშნავს, რომ არსებული სისტემების გაძლიერებით უზრუნველყოფ ქვეყანაში ოლიგარქების არარსებობას.
ვენეციის კომისიის მხრიდან რეკომენდაციების მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენაზე დააბრუნა აღნიშნული კანონპროექტი.
საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრები, სამუშო შეხვედრას გამართავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. შეხვედრაზე დაფიქსირებული იქნება საკოორდიანციო საბჭოს ხედვა დეოლიგარქიზაციის კანონპროექტზე ვენეციის კომისიის რეკომედაციასთან დაკავშირებით. ასევე საუბარი იქნება სამუშაო ჯგუფების მუშაობის ფორმატებზე. შეთავაზებული იქნება სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდა და ასევე სამუშაო ჯგუფის ღია ფორმატის მიღება.
საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, პლატფორმის გაფართოებული შეხვედრა გაიმართება, რომელზეც განხილული იქნება ვენეციის კომისიის რეკომენდაიები.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე